ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4230761

ნომერი: AR1638797

თარიღი : 19.10.2018

გაცემის თარიღი : 23.10.2018

გაცნობის თარიღი : 23.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მერაბ კოსტავა , N 60;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სურგულაძე პ/ნ 01017010566
- თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 19 ოქტომბრის AR1638797 განცხადება. სამსახურს, რომ მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესძლებლობა საჭიროა:

- საჭიროა საკადასტრო რუკაზე მონიშნოთ საპროექტო არეალი. ტროტუარის კიდიდან საპროექტო ობიექტამდე მანძილი. საპროექტო ობიექტები (ფანჯრებზე და კარზე განთავსებული თიხის პანელები) დაიტანეთ ზომებით. გაითვალისიწნეთ 14-39-ის, 33-ე მუხლის ნორმები

გ) ფანჯრების ფრთების/დარაბების (ბოლომდე გაღებულ მდგომარეობაში), შეჭრა 0.6 მ-ზე მეტად. ამასთან, ფანჯრების ფრთების/დარაბების (ბოლომდე გაღებულ მდგომარეობაში), შეჭრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ფანჯრამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელის სიგანე არის მინიმუმ 1,2 მ;

- კონდიციონერის გარე აგრეგატის მთავარ ფასადზე განთავსებისას გაითვალისიწინეთ 14-39-ის, 18 მუხლის ნორმები;
- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაში ჩანს, რომ ფასადის სიბრტყეზე განთავსებულია მილები და მემორიალური დაფა. საჭიროა, განმარტოთ ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისას ადგილი უნდა შეეცვალოს აღნიშნულ ობიექტებს თუ იგივე ადგილას განთავსდება. ასევე, წარმოადგინეთ აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით შესაბამისი პირის/სამსახურის თანხმობა;
- ფასადის სარეკონსტრუქციო სამუსაოებისას ფასადის სიბრტყეზე განთავსებული გამწვანების უვნებლობასთან დაკავსირებით წარმოადგინეთ განმარტება და შესაბამისი სამსახურის თანხმობა;
- არსებულ ფოტოსურათებსი სარეკონსტრუქციო ღიობებს მიუტითეთ ზომები რათა მოვახდინოთ შედარება საპროექტო სიტუაციასთან;
- კარზე განთავსებულ წარწერას მმიუთითეთ ზომები და ნიშნულები.

<u>წარმოდგენილი იქნეს ფასადისა და სარეკლამო აბრების ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები, კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%-ს".</u>

- მონიშნულ ფართთან მიმართებაში არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უფლებამოსილი პირი დაარეგისტრირეთ თანაგანმცხადებლად.
- გაითვალსიწინეთ, რომ თუ ქალაქის ტერიტორიაზე (დარეგისტრირებულზე ან დაურეგისტრირებელზე) ხდება ნებისმიერი სახის საპროექტო ობიექტის განთავსება, უნდა წარმოადგინოთ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი AR1638797 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.